საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-04/136

ქ. ბათუმი *09 აგვისტო, 2019 წ.*

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომითი დატვირთვის კატეგორიების *განსაზღვრის* *შესახებ*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, 37[1]-37[4]-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–13, 62[1]-62[4]-ე მუხლების, ,, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე *“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების,* ,,2019 წლის ივნისში ჩატარებული ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის N06-01/57 დადგენილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომითი დატვირთვის კატეგორიების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 აგვისტოს N01-02/128 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019 წელის 1 აგვისტოდან **2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდისათვის** (2020 წლის 1 ოქტომბრამდე) ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირებს განესაზღვროს:

ა) **,,ა“ კატეგორიის** შრომითი დატვირთვა (გარდა წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ში აღნიშნული დასაქმებულებისა) და შესაბამისად, მათი შრომის ყოველთვიური ანაზღაურება - ბსუ-ს საშტატო განრიგში მითითებული სახელფასო განაკვეთის სრულო ოდენობით;

ბ) **,,ბ“ კატეგორიის** შრომითი დატვირთვა დანართი 1-ში მითითებულ სამეცნიერო პერსონალს და შესაბამისად, მათი შრომის ყოველთვიური ანაზღაურება - 1. ბსუ-ს საშტატო განრიგში მითითებული სახელფასო განაკვეთის სრული ოდენობით - **ბ1** კატეგორიის შრომითი დატვირთვისათვის; ხოლო ბსუ-ს საშტატო განრიგში მითითებული სახელფასო განაკვეთის **2/3-ით** - **ბ2** კატეგორიის შრომითი დატვირთვისათვის.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სამეცნიერო პერსონალს და ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ

ერთეულებს (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევის სამსახურს და ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის
09 აგვისტოს N 01-04/136 ბრძანების

დანართი 1

2019 წელის 1 აგვისტოდან 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე **პერიოდისათვის** ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, **„ბ“ კატეგორიის შრომითი დატვირთვით:**

№	**დასაქმებულის სახელი, გვარი**	**ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის დასახელება**	**ბსუ-ში დაკავებული აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობები**	**შრომითი დატვირთვის კატეგორია**
1	**გიორგი თავამაიშვილი**	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	**დამხმარე თანამდებობა** - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი	ბ2
2	**ალეკო კალანდია**	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	**აკადემიური თანამდებობა** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი	ბ1
3	**ნინო კიკნაძე**	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	**აკადემიური თანამდებობა** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	ბ1
4	**ინდირა ჯაფარიძე**	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	**აკადემიური თანამდებობა** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ - პროფესორი	ბ1